# გაზაფხული კახეთში

გაზაფხულია, თუ საყვარელი
ქალი მოსულა ხელში იებით.
როგორ არ არის გასახარელი,
როცა ყვავილად ბრწყინავს მთიები.

გამოზაფხულდა და სიჭაბუკემ
თავისი ნიჭი ჩამოარიგა,
ვინმენთ ჭექის და ქუხილის ბუკებს
და ნიაღვარი ყვირის "ჰარიქა"!

მე კაეშანი ველარ მერევა,
როს გომბორიდან დავყურებ კახეთს!
მე ზღვისოდენა ბედნიერი ვარ,
თუ არა გჯერათ, მოდით და მნახეთ!

თითქოს სამოთხე ჩემს ხელად არი,
და სხვა მაისი არც კი მეხილვოს...
ერთი მინთიხარ შენ კელაპტარი,
მე მინდა შენს სულს გადავეხვიო!